ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01233532847**
თარიღი: **19/12/2023**

ადრესატი: მარიამ დიხამინჯია
პირადი ნომერი: 01001074732
მისამართი: თბილისი დიდი დიღომი პეტრე იბერის ქ. N 16ბ ბ. 7

ქალბატონო მარიამ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2023 წლის 6 დეკემბრის №01233403706-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2023 წლის 6 დეკემბრის №01233403706-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N 68ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.18.13.033.155) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმდა იმ პირობით, რომ ტროტუარებისა და სამანქანო გზის ნაწილი, რომელიც მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში, დაიტვირთება საჯარო სერვიტუტით, ხოლო სერვიტუტის არეალის განსაზღვრა მოხდება ტროტუარის დასაწყისიდან ტროტუარის დასასრულამდე სამანქანო შესასვლელ-გამოსასვლელი გზის ჩათვლით.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/TR4VqYs4fnqxNZt

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

20/12/2023

MIA 2 23 03746110

მოქ: მარიამ დიხამინჯია
ქ.თბილისი, დიდი დიღომი პ.იბერის 16 ბ დ ბლოკი
თქვენს 2023 წლის 19 დეკემბრის განცხადებაზე

ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილის N 68ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.18.13.033.155) შესასვლელ-გამოსასვლელი გზის, სამშენებლო დამცავი ღობის მოწყობის და საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი დროებითი და მუდმივი სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ს.ს.ი.პ. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (19.12.23წ 16-01233532847) თანხმობას შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ აღნიშნული სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემების შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაოის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;
- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;

- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: სქემა 1 ფაილად

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია ვსნ "37 - 84" და საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად

1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50 მეტრს.
2. სამუშაო ზონის სიგრძე 45 და 70 მეტრი.
3. ბუფერული ზონა არ გვაძლს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
4. სავალი ნაწილის დახურული ზოლის სიგანე არ გვაძლს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
5. სამუშაოთა წარმოების ზონის სიგრძეარ გვაძლს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
6. სტაბილიზაციის ზონის სიგრძე არ გვაძლს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
7. ნახაზზე ნაჩვენებია მხოლოდ დროებითი საგზაო ნიშნები
8. მარეგულირებლის დანიშნულებაა მშენებლობის პერიოდში სამშენებლო ტექნიკისა და ძველითა ნაკადების მოძრაობის ორგანიზება.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებები

1.26	4 ცალი	
3.10	2 ცალი შენიშვნა: ს.ნ. 3.10 დამონტაჟებულია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-3 პუნქტის 3.10 ქვეპუნქტის შესაბამისად	
		სამშენებლო ღობე
3.24	2 ცალი	ძველითა მოძრაობის მიმართულება
		სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება
5.19.1	4 ცალი	შესაფრთხოების ლენტი
5.19.2	4 ცალი	სამშენებლო ღობის გადახურვა
15 მ 8.1.1	1 ცალი	დროებითი დამცავი ბარიერი ქვეითთათვის 2 ცალი
45 მ 8.2.1	1 ცალი	
T 7	2 ცალი	მარეგულირებელი 2 კაცი

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში, ობიექტის ხელმძღვანელის ან მისი წარმომადგენლის მოთხოვნით, ასევე ინსპექტორის მოთხოვნით, ნებისმიერ დროს შეიძლება დამატებით დაიდგას ან მოიხსნას ნებისმიერი ნიშანი.

ყურადღება: საჭიროების შემთხვევაში, ობიექტის ხელმძღვანელის ან მისი წარმომადგენლის მოთხოვნით, ასევე ინსპექტორის მოთხოვნით, ნებისმიერ დროს შეიძლება დამატებით დაიდგას ან მოიხსნას ნებისმიერი ნიშანი.

**შენიშვნა

შენიშვნა:
საპროექტო ტერიტორიის შესასვლელ-გამოსასვლელები მოწყობილია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების შესაბამისად

მოსაწყობია ტროტუარი სამშენებლო ობიექტთან მისასვლელ არსებული გზის გასწვრივ სიგანით არანაკლებ 1.5 მ

მოსაწყობი გზა

საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებები

შესასვლელი პანდუსის პარამეტრები

სიგანე <1.5 მ. შემთხ

სიგანე >1.5 მ. შემთხ

ქვედა კვეთითია გაღასასვლელთან ორივე მხარეს პანდუსის პარამეტრები შემ პირთათვის 1 ცალი

პერსპექტიული ტროტუარის შენა, სიმაღლე 150 მმ

პერსპექტიული ტროტუარის განივი კვეთი

შენიშვნა: საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბრგ-ს პირობებში დამუშავებულ სატყეოსპილნ ზონაში, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კანონში გამოყენებული ტერმინები“ 38-ე პუნქტის გათვალისწინებით საპროექტო ტერიტორიაზე საგზაო ნიშნების დამონტაჟება საჭიროებას არ წარმოადგენს

ვასაძეთი ფრანციზკელთა I ქუჩა

ვასაძეთი ფრანციზკელთა II ქუჩა

შესახვევი ქ.

7.8.3

qa

nangrevi

nang

402.88

388.2 m²

178.6 m²

366.0 m²

ტროტუარის განივი კვეთი

სერვიტუტი

შპს. „ტოგა“ 405248557
დირექტორი: მაღალი ფიზიკოსია მობ: 591 047 123

TOG

ქ. თბილისი, ვეზისტაული მცხეთელების I შესახვევის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთში ს/კ 01.18.13.033.155 მშენებარე ობიექტის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, საპროექტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით. საკონტაქტო პირი: გიორგი ბენდელიანი ტელ.: 595 55 35 74

დამკვეთი: შპს „ანკო შრომის ძეგლება“

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია ვსნ "37 - 84" და საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად

1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50 მეტრს.
2. სამუშაო ზონის სიგრძე გვაქვს 10 მეტრი
3. ბუფერული ზონა არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
4. სავალი ნაწილის დახურული ზოლის სიგანე არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
5. სამუშაოთა წარმოების ზონის სიგრძეარ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
6. სტაბილიზაციის ზონის სიგრძე არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
7. ნახაზზე ნაჩვენებია მხოლოდ დროებითი საგზაო ნიშნები
8. მარეგულირებლის დანიშნულებაა მშენებლობის პერიოდში სამშენებლო ტექნიკისა და ქვეითთა ნაკადების მოძრაობის ორგანიზება.





შპს. „ტოგ" 405248557 დირექტორი: მარიამ დიხამინჯია მობ: 591 047 123 TOG	შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
ქ. თბილისი, ევსტათი მცხეთელის I შესახვევის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთში ს/კ 01.18.13.033.155 შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა საკონტაქტო პირი: გიორგი ბენდელიანი ტელ.: 595 55 35 74	
დამკვეთი: შპს „ანკო უძრავი ქონება“	

შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია ვსნ "37 - 84" და საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად

1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50 მეტრს.
2. სამუშაო ზონის სიგრძე 45 და 70 მეტრი
3. ბუფერული ზონა არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
4. სავალი ნაწილის დახურული ზოლის სიგანე არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
5. სამუშაოთა წარმოების ზონის სიგრძეარ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
6. სტაბილიზაციის ზონის სიგრძე არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
7. ნახაზზე ნაჩვენებია მხოლოდ დროებითი საგზაო ნიშნები
8. მარეგულირებლის დანიშნულებაა მშენებლობის პერიოდში სამშენებლო ტექნიკისა და ქვეითთა ნაკადების მოძრაობის ორგანიზება.





შპს. „ტოგ" 405248557
დირექტორი: მარიამ დიხამინჯია მობ: 591 047 123
TOG

ქ. თბილისი, ევსტათი მცხეთელის I შესახვევის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთში ს/კ 01.18.13.033.155 მშენებლობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.
საკონტაქტო პირი: გიორგი ბენდელიანი ტელ.: 595 55 35 74

დამკვეთი: შპს „ანკო უძრავი ქონება“

საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 0624-0895087 D 9. 01. 2024

შპს ანკო უძრავი ქონება
ელ.ფოსტა: a.antia@anko.ge
ტელეფონი: 591 00 88 13

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" (შემდგომში ,,კომპანია") განიხილა თქვენი განცხადება (,,კომპანიაში" რეგისტრაციის #IN23-0877848 თარიღი: 27/12/2023 წ.) რუთავის გზატკეცილი N68ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: 01.18.13.033.155) მიწისქვეშა კომუნიკაციების ადგილმდებარეობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" ბალანსზე რიცხული წყალსადენ-წყალარინების ქსელები არ გაედინება. ნაკვეთის მიმდებარედ გაედინება წყალსადენის D=160მმ-იანი , D=63 მმ-იანი და წყალარინების D=200 მმ-იანი ქსელი. (იხ. დანართი)

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელებთან დაკავშირებით მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების" დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00"), სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) და აგრეთვე, „კომპანიის" ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების (ოქმი N8) და ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების (ოქმი N12) თანახმად, წყალსადენ-კანალიზაციის მილებთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, საასენიზაციო მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების, ავტოგასამართი (ბენზინგასამართი) სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება. სანიტარული დაცვის ზოლებში, აგრეთვე, იკრძალება ნებისმიერი იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება,

რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალსადენის ქსელიდან 5 მეტრამდე ხოლო წყალარინების ქსელიდან 3 მეტრამდე მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

აღნიშნული წყალსადენ-წყალარინების ქსელების გარშემო ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, ამიტომ ,,კომპანიას" აუცილებლად მიაჩნია წყალამრიდი ჯებირისა და სადრენაჟე არხის მოწყობა შენობა-ნაგებობებისათვის, რათა ქსელების დაზიანების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ზარალის რისკი.

ამავე გარემოების გათვალისწინებით კომპანია გამორიცხავს მილსადენების ზონაში მრავალწლიანი ნარგავების დარგვას, ავტოსადგომების, სკვერების, ბავშვთა გასართობი მოედნების და კიდევ სხვა აქტიური საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) "კომპანია" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, "კომპანია" იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.

ამასთანავე, ,,კომპანია" გაცნობებთ, რომ თქვენ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

რაც შეეხება გენ. გეგმის შეთანხმებას, საჭიროა ,,კომპანიაში" წარმოადგინოთ გენ. გეგმა, სადაც განსაზღრული იქნება დაშორება საპროექტო ობიექტიდან წყალსადენ-წყალარინების ქსელებამდე.

დანართი 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ივანე გაბიტაშვილი

წყალსადენის ქსელების დირექტორის მოადგილე/
საოპერაციო ცენტრების დეპარტამენტის უფროსი

შემსრულებელი: მ.ლოლაძე/ ჯ.ჩაჩხალია
ტელეფონი: 293 11 11 (51 13)/ (1127)

სიტუაციური ნახაზი

IN23-0877848



1:800

Coordinate System: WGS 1984 UTM Zone 38N
Projection: Transverse Mercator

- ჭა კანალიზაცია
- წყალმომარაგების ჭა
- მილი კანალიზაცია
- წყალმომარაგების მილი
- წყამომარაგების გვირაბი

შპს თბილქალაქხეტყის

(ს/ნ 204388858)

მის: ქ. თბილისი ისანი–სამგორის რაიონში, ფონიჭალის დასახლება, ვანის ქ. №5

დირექტორის,

ბესიკ აბესაძის

(პ/ნ 01024015435)

განცხადება

შპს თბილქალაქხეტყე (ს/ნ 204388858), როგორც ქ. თბილისში, სადგურ ფონიჭალის მიმდებარედ არსებული 843 მ. სიგრძის სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის (საკადასტრო კოდი: 01.01.231) მესაკუთრე, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ბესიკ აბესაძის (პ/ნ 01024015435) მიერ, აცხადებს თანხმობას, მისცეს შპს ,,ანკო უძრავი ქონებას“ (ს/კ 405285383) მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მდებარე თბილისში, მისამართზე გზატკეცილი რუსთავი, #68ა (საკადასტრო კოდი: 01.18.13.033.155) აწარმოოს საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები.

05.12.2023

N 237
28.12.2023 წ.

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება

მისამართი: ქ. თბილისი, გზატკეცილი რუსთავი, N 68ა;
საკადასტრო კოდი: 01.18.13.033.155;
ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება;
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო;
ფართობი: 3626.00 კვ.მ;
მესაკუთრე (ები) : შპს "ანკო უძრავი ქონება" , ID ნომერი:405285383;

2023 წლის 22 დეკემბერს შპს "ანკო უძრავი ქონება"-ს , ID ნომერი:405285383, , მომართვის საფუძველზე ექსპერტ მზია ჯიქიას მიერ შესწავლილი იქნა, მისამართი: ქ. თბილისი,გზატკეცილი რუსთავი, N 68ა;, საკადასტრო კოდი: 01.18.13.033.155, საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, სადაც ხე და ბუჩქოვანი მცენარეები არ ფიქსირდება.

ფოტო თან ერთვის.

შ.პ.ს. „ეკო გარემო“-ს დირექტორი
შემსრულებელი/ექსპერტი

/მ. ჯიქია /

შპს "ეკო გარემო"

გზატკეცილი რუსთავი, N 68ა საკადასტრო კოდი: **01.18.13.033.155**





გზატკეცილი რუსთავი, N 68ა საკადასტრო კოდი: **01.18.13.033.155**





თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

11.01.2024
N 76

შპს ,,ანკო უძრავი ქონება"-ს წარმომადგენელს
გიორგი ჯობავას
თბილისი, ჯიქიას ქ.

ბატონო გიორგი,

სს „საქართველოს რკინიგზა"-ს ინფრასტრუქტურის ფილიალმა განიხილა თქვენი 20.12.2023 წლის განცხადება, რომელიც ეხება შპს „ანკო უძრავი ქონება"-ს საკუთრებაში არსებულ, 01.18.13.033.155 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთში, საფასადე მასალების ქარხნის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე, რკინიგზის პოზიციის დაფიქსირების საკითხს.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ფართის ფარგლებში სს „საქართველოს რკინიგზა"-ს ინფრასტრუქტურის ფილიალის მეურნეობების ბალანსზე რიცხული აქტივები, მიწისზედა ან/და მიწის ქვეშ არსებული კომუნიკაციები განთავსებული არ არის.

იმისთვის, რომ ქარხნის მშენებლობისა და მისი ექსპლუატაციის პერიოდში თავიდან ყოფილიყო აცილებული ტერიტორიის მხრიდან უცხო პირებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოხვედრა რკინიგზის გასხვისების ზოლსა და ღიანდაგში, სს „საქართველოს რკინიგზა"-ს ინფრასტრუქტურის ფილიალის მოთხოვნას წარმოადგენდა ტერიტორიის შემოღობვის მოწყობა, ფილიალის საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მიერ დადგენილი 11 მეტრიანი საგაბარიტო ზომის დაცვით.

ვინაიდან წარმოდგენილ დაკორექტირებულ გენერალურ გეგმაში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული მოთხოვნები, სს „საქართველოს რკინიგზა"-ს ინფრასტრუქტურის ფილიალს შესაძლებლად მიაჩნია განახორციელოთ საფასადე მასალების ქარხნის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების წარმოება, 01.18.13.033.155 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ტერიტორიის ფარგლებში, გენერალურ გეგმაში მითითებული პარამეტრების (ზომების) და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობების, ნორმატიული დოკუმენტების, სამშენებლო-ტექნიკური ნორმებისა და წესების, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნების დაცვით.

ინფრასტრუქტურის დირექტორი
გიორგი მარუაშვილი